ვებგვერდი, 28/07/2016
სარეგისტრაციო კოდი
010100000.10.003.019401

საქართველოს მთავრობის
დადგენილება №341
2016 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად საქართველოს სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჰ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

მუხლი 2

1. სამოქმედო გეგმის წარმატებულად განხორციელების მიზნით:

ა) დაევალოს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოს (შემდგომში – საუწყებათაშორისო საბჭო) სახელმწიფო უწყებების/დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების კოორდინაცია და სამომავლო საქმიანობების დაგეგმვა;

ბ) ეთხოვოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, სახელმწიფო უწყებების/დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი, ასევე სამოქმედო გეგმის 4.1.1 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობა;

გ) ეთხოვოს საქართველოს საერთო სასამართლოებს სამოქმედო გეგმის 1.1.5, 2.5.1-2.5.2 და 2.7.1 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებაში მონაწილეობა;

დ) ეთხოვოთ საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაში მონაწილეობა;

ე) ეთხოვოს ადრეული ქორწინების პრევენციის საკითხზე სამუშაო ჯგუფს სამოქმედო გეგმის 1.3.5 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობა;

ვ) ეთხოვოთ მუნიციპალიტეტის ორგანოებს, სამოქმედო გეგმის 1.1.1.10, 1.1.1.11 და 1.2.2.1 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობა.

2. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა სახელმწიფო უწყებებმა/დაწესებულებებმა სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ კვარტალური ანგარიშები წარუდგინონ საუწყებათაშორისო საბჭოს.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წწ.) პროექტისა და „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიშის“ მოწონების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის №1138 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების ძალაში შესვლისთანავე.

პრემიერ-მინისტრი *გიორგი კვირიკაშვილი*

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016 - 2017 წლების სამოქმედო გეგმა

მიმართულება I: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია

მიზანი 1: სახელმწიფო სტრუქტურებში დანერგილია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ სოციალური ნორმების, დამოკიდებულებების და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პრევენციის ხელშემწყობი მექანიზმები

ინდიკატორები:
1: სახელმწიფო სტრუქტურების %, რომელმაც შეიმუშავა პრევენციის მექანიზმები
საბაზისო: 0%
საბოლოო: 100%

2 : პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა
საბაზისო: 2013–2015 წლებში ჩატარდა 88 ტრენინგი/შეხვედრა 7 779 მონაწილით1
საბოლოო: 10% ზრდა
3: იმ შემთხვევების % რაოდენობა, რომლებზეც ჩატარდა გამოძიება და იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა
საბაზისო: 2015 წელს სსკ-ის 11 პრიმა მუხლზე მითითებით 168 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, ხოლო სსკ-ის 126 პრიმა მუხლით 760 ფაქტზე დაიწყო გამოძიება;

სსკ 11 პრიმა მუხლში მითითებულ დანაშაულებრივ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 288 პირის, ხოლო 126 პრიმა კვალიფიკაციით არსებული ფაქტებიდან 728 პირის მიმართ

საბოლოო: 5% ზრდა

4: შემაკავებელი და დამცავი ორდერების % მაჩვენებლის ცვლილება

საბაზისო: 2015 წელი – 25982 შემაკავებელი ორდერი, დამცავი ორდერი – 1733.

საბოლოო:შემაკავებელი ორდერის მაჩვენებლის 10% ზრდა, დამცავი ორდერის – 10% ზრდა

5: პირველადი ჯანდაცვის რგოლში ტრენინგები დანერგილია პილოტურ დაწესებულებებში და ინტეგრირებულია უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში

საბაზისო: 2015 წელს დატრენინგებული პირველადი ჯანდაცვის რგოლის 27 მუშაკი

საბოლოო: პირველადი ჯანდაცვის რგოლის 60 მუშაკი დატრენინგებულია და პილოტური ტრენინგების შედეგებზე დაყრდნობით, ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენის, დოკუმენტირების, რეფერალის და მომსახურების მიწოდების საკითხები ინტეგრირებულია უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში

ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	ბიუჯეტი
1.1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის განმახორციელებელ უწყებებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და შესაძლებლობები	1. იმ უწყებების რაოდენობა, რომლებმაც დანერგეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენინგ–პროგრამები სტანდარტული ოპერატიული პროცედურების მიხედვით **საბაზისო:** 3(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის უმაღლესი სკოლა) **საბოლოო:** სტანდარტული ოპერატიული პროცედურები შემუშავებულია ყველა უწყების მიერ, რომლებმაც დანერგეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პროფესიული საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამები. 2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში	1.1.1. ეროვნული რეფერალური მექანიზმის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სპეციფიკის (მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების) გაცნობის /კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პროფესიული ტრენინგების ჩატარება შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისათვის: 1.1.1.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის (წელიწადში არანაკლებ 4 ტრენინგი) 1.1.1.2. პროკურატურის თანამშრომლებისათვის (წელიწადში არანაკლებ 4 ტრენინგი) 1.1.1.3. პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაკებისათვის (წელიწადში არანაკლებ 6 ტრენინგი) 1.1.1.4. მოსამართლეებისათვის/ თანაშემწეებისათვის (წელიწადში არანაკლებ 2 ტრენინგი) 1.1.1.5. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებისა და დირექციის წარმომადგენლებისათვის 1.1.1.6. სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში - სახელმწიფო ფონდი) თანამშრომლებისათვის (წელიწადში არანაკლებ 2 ტრენინგი) და სახელმწიფო ფონდის ფარგლებში მოქმედი ეროვნული ცხელი ხაზის	**წამყვანი:** შესაბამის მიზნობრივ ჯგუფებთან: 1.1.1.1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 1.1.1.2 საქართველოს მთავარი პროკურატურა 1.1.1.3 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 1.1.1.4 სსიპ – იუსტიციის უმაღლესი სკოლა 1.1.1.5 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 1.1.1.6 სახელმწიფო ფონდი 1.1.1.7 საქართველოს შრომის, ჯანმრთერლობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო 1.1.1.8 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (პრობაციის ეროვნული სააგენტო),	2016-2017	

	ძალადობის ფაქტებზე შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირების % მაჩვენებელი: **საბაზისო** :23% 2015 წელს სსიპ „112“-ში სავარაუდო „კონფლიქტი ოჯახური/ძალადობა“ დაფიქსირდა 15 910 შეტყობინება ; გამოიცა 2726 შემაკავებელი ორდერი; სსკ–ის 126 პრიმა მუხლით 760 ფაქტზე დაიწყო გამოძიება ; სსკ-ის 11 პრიმა მუხლზე მითითებით 168 ფაქტზე დაიწყო გამოძიება **საბოლოო**: 5% ზრდა 3. პირველადი ჯანმრთელობის დაცვის რგოლის მუშაკებისთვის ჩატარებული პილოტური ტრენინგების შეფასების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები და დანერგილია უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში **საბაზისო** **:** 2015 წელს პირველადი ჯანდაცვის რგოლის 27-მა მუშაკმა გაიარა ტრენინგი **საბოლოო:** რეკომენდაციები ინტეგრირებულია უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში	თანამშრომლების/ოპერატორების კვალიფიკაციის ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე (წელიწადში არანაკლებ 2 ტრენინგი) 1.1.1.7. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლების/სოციალური მუშაკებისა (წელიწადში არანაკლებ 8 ტრენინგი) და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიულ ფორმებში ჩართული პირებისათვის (წელიწადში არანაკლებ 1 ტრენინგი) 1.1.1.8. ძალადობის თემაზე სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად პენიტენციური დაწესებულებების სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადამზადება (წელიწადში არანაკლებ 1 ტრენინგი); პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადამზადება (წელიწადში არანაკლებ 1 ტრენინგი). 1.1.1.9. ადვოკატებისათვის (წელიწადში არანაკლებ 6 ტრენინგი; მათ შორის 3 ტრენინგი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის) 1.1.1.10. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისათვის (წელიწადში არანაკლებ 8 ტრენინგი) 1.1.1.11. მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამშრომლებისათვის (წელიწადში არანაკლებ 4 ტრენინგი)	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი 1.1.1.9 სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური 1.1.1.10. მუნიციპალიტეტის ორგანოები 1.1.1.11.მუნიციპალიტეტის ორგანოები		
		1.1.2. ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს (შემდგომში – საუწყებათაშორისო საბჭო) წევრებისათვის თემატური შეხვედრა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, სტამბოლის კონვენციასა და ადრეული ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში	2016-2017	
		1.1.3. ქალთა მიმართ ძალადობისა (მათ შორის – ადრეული ქორწინების საკითხების) და ოჯახში ძალადობის საკითხების პროფესიული განვითარების პროგრამებში ინტეგრირება და დანერგვა	**წამყვანი:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა,	2016 -2017	

			საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო		
		1.1.4. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის განმახორციელებელი და მომსახურების მიმწოდებელი უწყებების მიერ, წინამდებარე სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ყოველწლიური შიდა სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება ან უკვე არსებულ შიდა ინსტიტუციურ სამოქმედო გეგმაში ინტეგრირება.	**წამყვანი:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	2016 წლისთვის – 2016 წლის მე-2 კვარტალი 2017 წლისთვის – 2017 წლის პირველი კვ.	
		1.1.5. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის,აღკვეთისა და დაცვის განმახორციელებელი თითოეული უწყების მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის ან ერთეულის გამოყოფა/დამტკიცება	**წამყვანი:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, იუსტიციის უმაღლესი	2016	

			სკოლა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქართველოს საერთო სასამართლოები		
1.2. საზოგადოება ინფორმირებულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მოქმედი კანონმდებლობისა და მომსახურებების შესახებ	კანონმდებლობისა და არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმირებულობის % მაჩვენებელი. **საბაზისო:** სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე -57 %; მომსახურებების შესახებ - 50%[4] **საბოლოო:** არანაკლებ 20% ზრდა	1.2.1. ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალთა მიმართ ძალადობისა (მათ შორის – ადრეული ქორწინების საკითხების) და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების/ტრენინგების განხორციელება.	**წამყვანი უწყება:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო **დამხმარე:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი)	2016-2017	
		1.2.2. ქალთა მიმართ ძალადობისა (მათ შორის – ადრეული ქორწინების საკითხების) და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე არსებული სახელმწიფო მომსახურებების პოპულარიზაციის მიზნით, საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება თბილისსა და რეგიონებში, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან: 1.2.2.1 ეთნიკურ უმცირესობებთან **(წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა)** 1.2.2.2 იძულებით გადაადგილებულ პირებთან **(წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა),** 1.2.2.3 ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მიგრანტთა დროებით განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან (წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა	**წამყვანი:** შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან: 1.2.2.1. მუნიციპალიტეტის ორგანოები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი) საქართველოს მთავარი პროკურატურა 1.2.2.2 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა **დამხმარე:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,	2016-2017	

			სახელმწიფო ფონდი, სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური 1.2.2.3 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო **დამხმარე:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური		
		1.2.3. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება მსჯავრდებულებისათვის და პირობით მსჯავრდებულებისათვის (კვარტალში არანაკლებ 1 შეხვედრა)	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2016-2017	
1.3. საზოგადოების დამოკიდებულება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ **შეცვლილია**	1. საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების, ბავშვთა ასაკში და ადრეული ქორწინების საზიანო პრაქტიკის მიმღებლობის % მაჩვენებელი **საბაზისო:** 2013 წელს 37%[5] ამართლებს ძალადობას რიგ შემთხვევებში **საბოლოო:** 10% კლება	1.3.1.საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება: 1.3.1.1. რადიო და სატელევიზიო გადაცემებში შესაბამისი თემატიკის გაშუქების გზით, მათ შორის ადრეული ქორწინების პრევენციისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ (კვარტალში არანაკლებ 4 სიუჟეტი/გადაცემა) 1.3.1.2. საინფორმაციო-საცნობარო მასალის მომზადება/ბეჭდვა/ გავრცელება (ყოველწლიურად არანაკლებ ერთი სახეობის ბუკლეტის მომზადება და ბეჭდვა) 1.3.1.3. სოციალური ვიდეო და რადიო რგოლების მომზადება-გაშვება (წელიწადში არანაკლებ ერთი ვიდეო და ერთი რადიო რგოლის მომზადება და გაშვება).	**წამყვანი:** **1.3.1.1** სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი, რეგიონული მაუწყებლები **წამყვანი** **1.3.1.2- 1.3.1.3.** სახელმწიფო ფონდი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო **დამხმარე:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქართველოს	2016-2017	

			შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური, სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს სოციალური რეკლამის განთავსებას		
		1.3.2. შერჩეულ გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში (სადაც განსაკუთრებით ხშირია ადრეული ქორწინების პრაქტიკა) თემების მობილიზება ადრეული ქორწინების პრევენციისათვის, მათ შორის თემისა და რელიგიური ლიდერების ჩართვა	**წამყვანი:** მუნიციპალიტეტის ორგანოები **დამხმარე:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს	2016–2017	
		1.3.3. საბაზისო კვლევა ადრეული ქორწინების მიზეზების, პრაქტიკის, შედეგებისა და გავრცელების შესახებ	**წამყვანი:** სსიპ – ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.	2016-2017	
		1.3.4. ადრეული ქორწინების პრევენციის ხელშემწყობი რეკომენდაციების შემუშავება და გავრცელება	საუწყებათაშორისო საბჭო ადრეული ქორწინების პრევენციის საკითხზე სამუშაო ჯგუფი	2016	
		1.3.5. მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს	2016–2017	

მიმართულება II: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთა

მიზანი 2: საქართველოს მთავრობის მიერ უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და ხორციელდება ეფექტიანად

1. ინდიკატორი: შესაბამისობაშია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორუმის აღმოფხვრის კონვენციასთან“(CEDAW), სტამბოლის კონვენციასთან
საბაზისო: მომზადებულია ცვლილებათა პაკეტი კონვენციების მოთხოვნათა გათვალისწინებით
საბოლოო: შეესაბამება
2.ეროვნული რეფერალური მექანიზმი გაძლიერებულია მასში ჯანდაცვის და სოციალურ მუშაკების როლისა და პასუხისმგებლობის ინტეგრირებით
საბაზისო: პილოტურ ტრენინგების განხორციელებაზე დაყრდნობით მომზადებულია დეგების ანალიზი და რეკომენდაციები
საბოლოო: რეკომენდაციები გამოყენებულია სტანდარტული ოპერატიული პროცედურების დახვეწის მიზნით

ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	ბიუჯეტი
2.1. ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის (შემდგომში სტამბოლის კონვენციის) რატიფიცირებისთვის საჭირო ღონისძიებები განხორციელებულია საქართველოს მთავრობის მიერ.	1 სტამბოლის კონვენციიდან გამომდინარე შემუშავებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში. **საბაზისო:** საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მომზადებულია **საბოლოო:** საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში	2.1.1. სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა პარლამენტისათვის	**წამყვანი:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო **დამხმარე**: საუწყებათაშორისო საბჭო	2016-2017	
2.2. ეროვნული რეფერალური მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია საქართველოს მთავრობის მიერ	1. რეფერალური მექანიზმი შემუშავებულია და დამტკიცებულია **საბაზისო:** არსებობს რეფერალური მექანიზმის პროექტი **საბოლოო:** რეფერალური მექანიზმი დამტკიცებულია	2.2.1. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ეროვნული რეფერალური მექანიზმის გადასინჯვა და დამტკიცება	**წამყვანი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო **დამხმარე**: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური	2016-2017	
		2.2.2. ეროვნული რეფერლური მექანიზმის მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა	საუწყებათაშორისო საბჭო	2017	
		2.2.3. დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების მონიტორინგის სისტემის დანერგვა და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო	2016-2017	

		2.2.4. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში - „112“ – შემოსული შეტყობინებების ანალიზი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2016-2017	
2.3. საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია/ გაუმჯობესებულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა	1.საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით (სტამბოლის კონვენცია) მიღებულია და ძალაშია შესული შესაბამისი ცვლილებები **საბაზისო :** არ არის **საბოლოო:** ცვლილებები მიღებულია და ძალაშია შესული	2.3.1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შეფასება	საუწყებათაშორისო საბჭო	2017 წლის პირველი კვ	
		2.3.2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება	საუწყებათაშორისო საბჭო	2017 წლის მე-4 კვ.	
		2.3.3. ოჯახში ძალადობის შემთხვევებში სოციალური მუშაკის უფლებამოსილების/როლის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება და რეფერალურ მექანიზმში დანერგვა	**წამყვანი**: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	2017 წლის მარტამდე	
		2.3.4. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების სათანადო კვალიფიკაცია, ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოების უზრუნველყოფისათვის სისხლის სამართლის საქმეების მუდმივი მონიტორინგი, ხარვეზების გამოვლენა და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, პროკურორებისათვის რეკომენდაციების შემუშავება	**წამყვანი:** საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2016-2017	
2.4. ეროვნული რეფერალური მექანიზმის გაუმჯობესება ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გაძლიერებით ქალის მიმართ ძალადობის საპასუხოდ	1. სტანდარტული ოპერატიული პროცედურები პირველადი ჯანდაცვის რგოლში დანერგვის მიზნით შემუშავებულია და პილოტირებულია **საბაზისო :** არ არსებობს **საბოლოო:** სტანდარტული ოპერატიული პროცედურები შემუშავებულია	2.4.1. ეროვნული რეფერალური მექანიზმის გაძლიერება მასში ჯანდაცვის სისტემის ჩართვით: სტანდარტული ოპერატიული პროცედურების პილოტირება თბილისის და კახეთის შერჩეულ მუნიციპალიტეტებში პირველადი ჯანდაცვის დონეზე ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენის, დოკუმენტირების, რეფერალის და მომსახურების მიწოდების შესახებ	**წამყვანი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, **დამხმარე:** (დაინტერესებული ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები)	2017	
2.5. სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ და მასზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია	1. შემუშავებულია სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტი **საბაზისო:** არ არსებობს **საბოლოო:** შემუშავებულია ერთიანი სტატისტიკის	2.5.1. ქალთა მიმართ ძლადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიური სტანდარტის შექმნა	**წამყვანი:** საუწყებათაშორისო საბჭო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი	2017	

	წარმოების სტანდარტი 2. სტანდარტის შესაბამისად წარმოებული სტატისტიკა არსებობა **საბაზისო**: არ არსებობს **საბოლოო**: სტანდარტის შესაბამისად წარმოებული სტატისტიკა არსებობა 3. საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული ერთიანი განახლებადი სტატისტიკური მონაცემები არსებობა **საბაზისო**: არ არსებობს **საბოლოო:** ვებგვერდზე განთავსებულია ერთიანი განახლებადი სტატისტიკური მონაცემები		პროკურატურა, სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს საერთო სასამართლოები, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი **დამხმარე:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო		
	4. საბჭოს ვებგვერდის მომხმარებელთა რაოდენობა **საბაზისო:** 0 **საბოლოო:** ვებგვერდის მომხმარებელთა მაჩვენებელი– 20 ერთეული	2.5.2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის ერთიანი აგრეგირებული მონაცემთა ბაზის შექმნა და განახლება	**წამყვანი**: საუწყებათაშორისო საბჭო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს საერთო სასამართლოები **დამხმარე:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	2017	

2.6. ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული შესაბამისი პროგრამები შემუშავებულია და ხორციელდება სათანადო სახელმწიფო უწყებების მიერ	1. მოძალადეთა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამები შემუშავებულია და დანერგილია **საბაზისო:** პროგრამები შემუშავებულია **საბოლოო :** პროგრამები დანერგილია დამცავი ორდერებით განსაზღვრული მოძალადეებისთვისაც 2. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა **საბაზისო:** 2014–2015 წწ. –სარეაბილიტაციო მომსახურებით ისარგებლა 112 პ/მსჯავრდებულმა[6] **საბოლოო**: 10% ზრდა, 3. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის არსებობს (იგულისხმება სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი პირები) **საბაზისო:** არ არსებობს **საბოლოო:** სასჯელაღსრულების სისტემაში წარმოებს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა	2.6.1. ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამების დანერგვა/განხორციელება	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2016-2017	
		2.6.2. დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოძალადეებისათვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის შემუშავება და შემდგომი განხორციელება.	საქართველოს მთავრობა	2017	
2.7. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული საუკეთესო საერთაშორისო (სასამართლო) პრაქტიკა განზოგადებულია და დანერგილია	1. ნათარგმნი გადაწყვეტილებებისა და განზოგადებული პრაქტიკის შედეგად შემუშავებული კრებული არსებობს **საბაზისო**: **არ არსებობს** **საბოლოო**: **შემუშავებული კრებული** 2. საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით საერთო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა **საბაზისო**: 0 **საბოლოო:** დათვლილია განხილულ საქმეთა რაოდენობა	2.7.1. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შესაბამისის გადაწყვეტილებების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ საქართველოსთვის შემუშავებული რეკომენდაციების თარგმნა/გაცნობა/განზოგადება სასამართლოს სისტემაში	ეთხოვოს საქართველოს საერთო სასამართლოებს	2016–2017	

მიმართულება III: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვა და დახმარება

მიზანი 3: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები (დაზარალებულები)
სარგებლობენ დახმარებისა და რეაბილიტაციის შესაბამისი/მიზნობრივი მომსახურებებით

ინდიკატორი: 1. თავშესაფრების რაოდენობის ზრდა
საბაზისო : 3 თავშესაფარი
საბოლოო: 4 თავშესაფარი
ინდიკატორი 2. ცხელი ხაზის განვითარება
საბაზისო: არსებობს ოჯახში ძალადობის საკითხებზე
საბოლოო: ფარავს სექსუალური ძალადობის საკითხებს
ინდიკატორი 3. კრიზისული ცენტრის არსებობა
საბაზისო: არ არსებობს
საბოლოო: 1კრიზისული ცენტრი
ინდიკატორი 4. სპეციფიკური მომსახურებების არსებობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის
საბაზისო: არ არსებობს
საბოლოო: შექმნილია

ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	ბიუჯეტი
3.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის (დაზარალებულთათვის) განკუთვნილი მომსახურებები გაუმჯობესებული და/ან განვითარებულია	1. კრიზისული ცენტრი შექმნილია, ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს მომსახურებების მიწოდებას, როგორც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის/ დაზარალებულებისთვის/სავარაუდო მსხვერპლებისთვის, ასევე სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის/ დაზარალებულებისთვის **საბაზისო:** არ არსებობს **საბოლოო:** შექმნილია და ფუნქციონირებს 1 კრიზისული ცენტრი თბილისში 2. უზრუნველყოფილია ცხელი ხაზის მომსახურება, როგორც ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე, სექსუალური ძალადობის საკითხებზე **საბაზისო:** ცხელი ხაზი ფუნქციონირებს მხოლოდ ოჯახში ძალადობის საკითხებზე **საბოლოო:** ცხელი ხაზი ფარავს სექსუალური ძალადობის საკითხებს 3. გაუმჯობესებულია ცხელი ხაზის მატერიალურ ტექნიკური ბაზა და უზრუნველყოფილია შემომავალი ზარების მონიტორინგის სისტემა **საბაზისო:** უზრუნველყოფილია ცხელი ხაზის უფასო მომსახურება **საბოლოო:** დანერგილია შემომავალ ზარებზე მონიტორინგის სისტემა 4. დანერგილია მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანამშრომელთა სუპერვიზიის სისტემა **საბაზისო:** არ არსებობს **საბოლოო:** დანერგილია	3.1.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში (სახელმწიფო ფონდის ფარგლებში) მოქმედი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) თავშესაფრების მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო ფონდისთვის გამოყოფილ ასიგნებებში თავშესაფრების კომპონენტის გათვალისწინებას	**წამყვანი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი	2016 წლის IV კვ. 2017 წელი	
		3.1.2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის/ დაზარალებულთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის კრიზისული ცენტრის გახსნა და მისი მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო ფონდისთვის გამოყოფილ ასიგნებებში კრიზისული ცენტრის კომპონენტის გათვალისწინებასაც	**წამყვანი:** სახელმწიფო ფონდი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2016 წლის IV კვ.	
		3.1.3. კრიზისული ცენტრის ფუნქციონირებისა და მოწყობის თაობაზე სტანდარტების გადახედვა/დახვეწა	**წამყვანი:** სახელმწიფო ფონდი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2016	
		3.1.4. ძალადობის მსხვერპლთა მიმართ გატარებული ღონისძიებების/ მომსახურებების მონიტორინგი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2016-2017	
		3.1.5. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის (დაზარალებულთათვის) მომსახურების მიმწოდებლეთა სუპერვიზიის სისტემის შექმნა და დანერგვა	საუწყებათაშორისო საბჭო	2016–2017	
		3.1.6. ოჯახში ძალადობის საკითხებზე ერთიანი ცხელი ხაზის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასო და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ასევე, ოჯახში ძალადობის საკითხებზე „1505“ ცხელ ხაზზე შემოსული ზარების „116006“ ცხელ ხაზზე ეფექტიანი და ოპერატიული რეფერირების ხელშეწყობის მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება	**წამყვანი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი.	2016-2017	

		3.1.7. სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მომსახურებების განსაზღვრა და მიწოდების უზრუნველყოფა	**წამყვანი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი **დამხმარე:** საუწყებათაშორისო საბჭო	2016 – 2017 (**შენიშვნა:** მომსახურებების მიწოდება 2017 წლიდან)	
3.2. ძალადობის მსხვერპლთათვის (დაზარალებულთათვის) მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა გაზრდილია	1. იმ რეგიონების რაოდენობა, სადაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის თავშესაფრის მომსახურების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია . **საბაზისო:**[7] 3 **საბოლოო:** 4 2. ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/ დაზარალებულთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს კრიზისული ცენტრის მომსახურებით. **საბაზისიო:** 0 **საბოლოო:** 50 3. აბონენტთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს ცხელი ხაზის მომსახურებით. **საბაზისო:** [8] ოჯახში ძალადობის საკითხებზე – 1143 ზარი (2015 წ.) **საბოლოო:** - 5% ზრდა 4. მომსახურებებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია **საბაზისო:**[9] თავშესაფრით მომსახურება– 188 იურიდიული დახმარება – 44 ფსიქოლოგიური დახმარება – 135 სამედიცინო დახმარება – 91 **საბოლოო:** 10% ზრდა	3.2.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრების ქსელის გაფართოება ახალი თავშესაფრის გახსნის გზით	**წამყვანი:** სახელმწიფო ფონდი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2016-2017	
		3.2.2. კრიზისული ცენტრის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის /სავარაუდო მსხვერპლებისთვის/ დაზარალებულებისათვის, ასევე, სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის/ დაზარალებულებისთვის	**წამყვანი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი	2016 წლის IV კვარტალი – კრიზისული ცენტრის მომსახურება ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის / დაზარალებულე-ბის ათვის; 2017 წლიდან – ასევე, სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისათვის / დაზარალებულე-ბის ათვის	
		3.2.3. ოჯახში ძალადობის საკითხებზე მოქმედი ეროვნული ცხელი ხაზის მომსახურების თემატური გაფართოება: სექსუალური ძალადობის საკითხების დაფარვა	**წამყვანი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი.	2017	
		3.2.4. მომსახურებებით მოსარგებლე სამიზნე ჯგუფების გაფართოება, რაც მოიცავს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/ დაზარალებულთა დახმარებასა და რეაბილიტაციას	**წამყვანი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი.	2017	

მიმართულება IV: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) მონაწილეობა

მიზანი 4: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები/დაზარალებულები ჩართულნი არიან შესაბამისი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში

ინდიკატორი: პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში მონაწილე მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა

საბაზისო : 0

საბოლოო: მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა: არანაკლებ 10 მსხვერპლი/დაზარალებული

ინდიკატორი: კანონპროექტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების რაოდენობა, რომლეთა შემუშავებაში ჩართული იყვნენ მსხვერპლები/დაზარალებულები

საბაზისო: 0

საბოლოო: 1

ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	ბიუჯეტი

4.1. მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან უზრუნველყოფილია მსხვერპლთა/ დაზარალებულთა მონაწილეობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ჯახში ძალადობის მიმართულებით პოლიტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში	**1.** შექმნილია პლატფორმა, სადაც მონაწილეობას იღებენ მსხვერპლები/ დაზარალებულები პოლიტიკის დოკუმენტების შექმნასა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში **საბაზისო:** არ არსებობს **საბოლოო:** შექმნილია	**4.1.1.** კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესში შესაბამისი წინადადებების/ რეკომენდაციების მიღების მიზნით შეხვედრების ორგანიზება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან (დაზარალებულებთან)	**წამყვანი:** საუწყებათაშორისო საბჭო, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი **დამხმარე:** სახელმწიფო ფონდი (კომპეტენციის ფარგლებში)	2016-2017	

1 ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2013 – 2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი .

2 http://police.ge/.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

4 http://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2014/11/perception-of-violence-against--women-and-domestic-violence-in-tbilisi.

5 http://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2014/11/perception-of-violence-against--women-and-domestic-violence-in-tbilisi.

6 პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია, მიღებული ელექტრონული ფოსტით.

7 http://www.atipfund.gov.ge/index.php/ka/about-us/branches-and-shelters.

8 http://www.atipfund.gov.ge/images/stories/pdf/statistika/2016/statistika6.pdf.

9 http://www.atipfund.gov.ge/images/stories/pdf/statistika/2016/statistika1.pdf.